Frontausgabe — Informationsmaterial

Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 6 (184) გამოც. მე-4 წელი — ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი — ბერლინი, 12 თებერვალი, 1945 წ.

ჰიმლერის მიმართვა შნაიდემიულის დამცველებისადმი

სს რაიხსფიურერმა ჰაინრიხ ჰიმლერმა, შნაიდემიულის სიმაგრის კომენდანტს პოლკოვნიკ-ლეიტენანტ რემლინგერს, რადიოთი შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„თქვენ და შნაიდემიულის დამცველ გმირ ჯარისკაცებს გერმანიის წითელი ჯვრისადმი შემოწირული ერთი მილიონი მარკისათვის გიძღვნით ჩემს გულითად მადლობას.

დაიცავით შნაიდემიული მომავალშიც.

ჰაილ ჰიტლერ!

თქვენი ჰაინრიხ ჰიმლერი
სს რაიხსფიურერი".

სამთა კონფერენცია

უკანასკნელი ცნობების თანახმად, შავი ზღვის სანაპირო პატარა ქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ მეორე მსოფლიო ომის დამწყებნი რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი. იტყობინებიან, რომ შესაძლებელია სამთა კონფერენცია აგრეთვე სამხედრო გემზე შესდგა. როგორც უკვე ცნობილია, კონფერენციის დღისწესრიგში იდგა ორი საკითხი, რომელთა განხორციელება წარმოადგენს მოწინააღმდეგის მიზანს. პირველი საკითხია: გერმანელი ხალხი ცრუ დაპირებებითა და აგიტაციური ხერხებით აიძულონ დასთანხმდეს კაპიტულაციასა და უბრძოლველად ჩაბარებაზე და მეორე: ადვილადდამჯერ კაცობრიობას „მუდმივი მშვიდობიანობა" შეპპირდნენ.

ბოლშევიკების ბარბაროსობა აღმოსავლეთ გერმანიაში

გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ხელთ არის მრავალი მასალა, რომლებიც აშკარად ლაპარაკობენ იმ უბედობისა და ბოროტმოქმედების შესახებ, რომელსაც ბოლშევიკები სჩადიან გერმანიის მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში. ყველა ის ურიცხვი ბრალდება, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი აქ მოგვყავს, მოთხრობილია მნახველთა მიერ და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს მასალები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ იმ ბარბაროსობას, რაც ბოლშევიკებმა არაერთხელ და ორჯერ ჩაიდინეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

აღმოსავლეთი გერმანიის რაიონებში ბოლშევიკები, როგორც ტიპიური უსულგულო ჯალათები, სტანჯავდნენ და აწამებდნენ უდანაშაულო მოსახლეობას, აუპატიურებდნენ ქალებს და ხოცავდნენ განურჩევლად ყველას, ვინც კი შემთხვევით გადარჩებოდა, მათ დაუყოვნებლივ ჰგზავნიდნენ ღრმა ზურგში, ციმბირის ტიალ მინდვრებზე სამუშაოდ.

მაიორი ვილდე, ქალაქ ბურგვასერიდან, მძიმე ჭრილობის გამო იძულებული გახდა ბოლშევიკების ზურგში დარჩენილიყო. რამოდენიმე დღის შემდეგ ის გამოექცა ბოლშევიკებს და პრესის წარმომადგენლებს შემდეგი გადასცა: ბურგვასერში მხოლოდ 25 მოსახლე დარჩა. როგორც კი შემოვიდნენ ბოლშევიკები, მაშინვე დაიწყეს ბინების ძარცვა-გლეჯა. 70 წლის გეორგ ფალტინი კომისრებმა დახვრიტეს, რადგან უარი განაცხადა ბეწვის ქურქის მიცემაზე, სამი მოწყალების და გააუპატიურეს და შემდეგ ეკლესიაში ხმლით აჩეხეს. საღამოზე ყველა ქალი სკოლის შენობაში დაიბარეს, სადაც ბოლშევიკების ნაწილები იდგნენ. მთვრალი ბოლშევიკები მხეცებსავით დაერივნენ ქალებს, შემოახიეს ტანსაცმელი და გააუპატიურეს. საშინელ სურათს წარმოადგენდა მთელი ქალაქი. ბინებიდან გამოტანილი ავეჯი, ტანსაცმელი და თეთრეული, დახოცილთა გვამები ერთმანეთში არეული ეყარა ქუჩებში.

ასეთი წესით იბრძვიან ბოლშევიკები აღმოსავლეთ გერმანიაში და ამგვარად „ანთავისუფლებენ" ისინი გერმანელ მოსახლეობას.

505

„იმელმანის" სახელობის საბრძოლო თვითმფრინავთა შენაერთის მეთაურმა, პოლკოვნიკმა რუდელმა, რომელიც გულადობისათვის უმაღლეს ჯილდოს ატარებს, 30 და 31 იანვარს გაანადგურა 7 საბჭოთა ტანკი, რითაც მის მიერ მოსპობილი ბოლშევიკების ტანკების რიცხვი 505-მდე აიყვანა.

მ ა ტ ყ უ ა რ ა თ ა მ ა ნ ე ვ რ ი

გერმანული გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" ეხლახან მოწყობილ სამთა კონფერენციის შესახებ შემდეგს სწერს: „ამ დღეებში მოხდა ვილსონის სიცრუის ახალი გამოშვება. საკითხი ეხება მტრების მომავალ გეგმას: კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ომის სამი მთავარი დამცველი — რუზველტი, სტალინი და ჩერჩილი და რომლის მოწყობის ადგილი სასტიკი საიდუმლოებით არის დაცული, მზადდება ზუსტად მოფიქრებული დიდი პროპაგანდისტული ტრიუკი 1918 წლის მაგალითის მიხედვით. ვინაიდან ჩვენს მტრებს ყველა იმედი გაუცრუვდათ მოკლე ხნის მანძილზე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დაემარცხებინათ გერმანელი ხალხი — მათ გადასწყვიტეს ამოერჩიათ კვლავ ის გზა, რითაც 1918 წელს ასეთ წარმატებას მიაღწიეს. ეს გზა წარმოადგენს ზემოხსენებული „სამეულის" მიერ გამოცემულ მოწოდებას გერმანელი ხალხისადმი, სწორეთ ისევე, როგორც რუზველტმა და ჩერჩილმა ბადოლიოს ღალატამდე იტალიის ხალხს მიმართეს, რაც სამხრეთ იტალიას შემშილად, პროსტიტუციად, ბოლშევიზაციად და გადასახლებად დაუჯდა, ყველა დანარჩენი დაპირება კი მხოლოდ ლიტონ სიტყვებად დარჩა".

ასევე მოხდა 1918 წელსაც. ვილსონის დაპირებები გერმანიის მიმართ სრულად ცრუ და მზაკვრული გამოდგა. ამერიკის ეს პრეზიდენტი შევიდა მსოფლიო ისტორიაში, როგორც ყველაზე მსხვილი ყალთაბანდი და მატყუარა. სამწუხაროდ, მაშინდელი გერმანიის ზოგიერთი ხელმძღვანელის უხასიათობის შედეგად ქვეყანა მაცდურ ბადეში გაება.

„გერმანელ ხალხს, რომელმაც მთელი ეს საშინელება საკუთარ მხრებზე გადაიტანა, რომელმაც განიცადა შერყეული ნერვების მოქმედება, როგორც შედეგი 1918 წლისა და ვილსონის სიცრუისა, ამავე ხალხს კვლავ უმზადებენ იგივე ჯოჯოხეთის შეთავაზებას. მტერი ამჯერად უფრო მოფიქრებულად მოიქცა, ვიდრე წარსულში, ახალმა გერმანიამ თავის მოხარდ თაობას აუხსნა ვილსონის სიცრუის მთელი არსი. მტერი ექვსი წლის განმავლობაში აშკარად ალიარებდა განადგურების გეგმებს, რომელიც თვითეული გერმანელისათვის კარგად არის ცნობილი. გერმანიის მტრებს არავითარი ხელ განუცხადებიათ, რომ მას არ მიეცემა არავითარი წინასწარი პირობები, რაზედაც შეიძლება მოუთითოს ზავის დადებისას, როგორც ეს ვილსონის 14 მითითების მიმართ მოხდა. ეხლა კი, იმისათვის, რომ ჰქონდეთ მოქმედების სრული თავისუფლება, გერმანიის მტრები მოითხოვენ მის სრულ კაპიტულაციას. პატივმოყვარე ერისათვის, რომელსაც სახელოვანი წარსული აქვს, ეს ნიშნავს უსინდისო გამოწვევას. ამასთანავე ჩვენს წინაშეა თვალსაჩინო მაგალითები ყველა იმ ქვეყნებისა, რომლებმაც დაუჯერეს ინგლის-ამერიკელთა და საბჭოთა წინადადებებს. სინამდვილეში ჩვენ ეხედავთ ბოლშევიკების სისხლიან თარეშს, რაც მათ ამ ქვეყნებში მოაწყეს.

რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის თვითეული პროკლამაცია გერმანელი ხალხის მიმართ წარმოადგენს იმასვე, რასაც ერენბერგის, მორგენთაუსა და ვანტიზარის ხელმოწერილი საბუთები ლაპარაკობდნენ. ყველა ისინი მოითხოვდნენ გერმანელი ხალხის განადგურებას, გადასახლებასა და დარბევას. ამერიკული გაზეთის „სტარ ენდ სტრიპსის" ერთერთ წერილში რუზველტი მოუწოდებს ამერიკელ ჯარისკაცებს ცეცხლითა და მახვილით გაანადგურონ გერმანელები. ამასთან ერთად, კვლავ თავს იჩენს ბოროტებით აღსავსე სიტყვა „ზავის სინდისის შესახებ", რაც ჩვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი 1918 წლიდან. ყველა ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ინგლის-ამერიკელთა სურვილი გაანადგურონ გერმანელი ხალხი, ასი პროცენტით შეესაბამება საბჭოთა სურვილს და რომ ომის ეს გამჩაღებლები აღნიშნულ საკითხში სრულ სოლიდარობას იჩენენ.

მაგრამ გერმანელი ხალხისათვის მტრის ყველა მიზნები კარგად არის ცნობილი. იგი ერთსულოვანი დარჩება თავდაცვის საკითხში და კაპიტულაციაზე არასოდეს არ დათანხმდება. თავის უკანასკნელ სიტყვაში ფიურერმა ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ არაფერს არ შეუძლია ხალხის გათიშვა ფიურერისაგან. ხალხი ანგარიშს აძლევს თავისთავს, რომ კაპიტულაცია თვითმკვლელობას მოასწავებდა. მტრები ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს ვერც სამხედრო, ვერც პოლიტიკური თვალსაზრისით. ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის ასეთი მოტყუება სრულ უაზრობას წარმოადგენს.

დიდი საჰაერო ტერორისტული თავდასხმა ბერლინზე

შაბათს, 3 თებერვალს, დღის 11 საათზე, გერმანიის დედაქალაქმა ბერლინმა განიცადა ამერიკელი ტერორისტი მფრინავების სასტიკი საჰაერო თავდასხმა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა მტრის 1.000-ზე მეტი ბომბდამშენი. საჰაერო ყაჩაღებმა გადმოყარეს აურიცხელი რაოდენობის ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბები, უმთავრესად ქალაქის ცენტრზე — მჭიდროდდასახლებულ რაიონებზე. თავდასხმის შედეგად დაინგრა, დაიწვა და დაზიანდა საცხოვრებელი ბინები, კულტურისა და საისტორიო ძეგლები, საავადმყოფოები, სკოლები და კინო-თეატრები. ადგილი ჰქონდა აგრეთვე მოსახლეობის საგრძნობ დანაკარგს. გერმანული საჰაერო დაცვის მიერ ჩამოგდებულ იქნა მტრის 40-მდე თვითმფრინავი, მათ შორის მეტწილად ოთხმოტორიანი ბომბდამშენები.

გაუტეხელი გერმანელი ნებისყოფა და სიმტკიცე ასეთ სასტიკ ტერორისტულ თავდასხმას ოდნავადაც არ შეურყევია. მოსახლეობა კვლავ ჩვეული ენერგიით შეუდგა თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციას. მოკლე ხანში ქალაქში აღდგენილ იქნა მოძრაობა, გაიწმინდა ქუჩები და ცხოვრების მაჯისცემა ისევ ძველებურად წარიმართა.

პიერლოტის გადადგომა

ბოლშევიკების არალეგალური და ლეგალური მოქმედების შედეგად გამოწვეული ხელისუფლების კრიზისის გამო გადადგა ბელგიის მთავრობის შეფი პიერლოტი.

იტალიის მთებში. ბანდიტთა მეთაური, რომელიც გადმოვიდა გერმანელთა მხარეზე, აჩვენებს რუკაზე თავიანთი ძალების განლაგების ადგილს.

ამერიკელი კარდინალის განცხადება

ამერიკელმა კარდინალმა სპელმანმა, რომელმაც რამოდენიმე ხანი დაჰყო ბონომის იტალიაში, განაცხადა, რომ მდგომარეობა იქ მეტისმეტად დამძიმებულია. „ინგლის-ამერიკელი განმთავისუფლებლების" წყალობით იტალიელი ხალხი მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება და სასოწარკვეთილებაში ლაფავს სულს. მოსახლეობა განიცდის თითქმის ყველაფრის ნაკლებობას.

იაპონელთა ავიაციის წარმატება

იაპონიის ავიაციის ნაწილები 30 იანვარს, ღამით, თავს დაესხნენ ინგლისის სატრანსპორტო ფლოტს ნავსადგური აკიაბის რაიონში. პირდაპირი მოხვედრის შედეგად იაპონელებმა ჩაძირეს ორი დიდი სატრანსპორტო გემი, ორი საბაზო გემი და დააზიანეს კიდევ რამოდენიმე ხომალდი. იაპონელთა ყველა თვითმფრინავი დაბრუნდა თავის ბაზაზე.

ბრძოლები მდინარე ოდერთან

ეხლანდელ მდგომარეობას წინაშე სამხედრო თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ხაზგასმით ცხადი გახდება, რომ ბოლშევიკების შეტევის მიზანი იყო გერმანელთა სამხედრო ძლიერების საბოლოო განადგურება. ეხლა უკვე შეიძლება დავადგინოთ ფაქტი, რომ საბჭოებმა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწიეს ამ თავის მიზანს. ბოლშევიკებმა თავი მოუყარეს ყველა ძალებს, შეიყვანეს ბრძოლაში მთელი თავისი რეზერვები, და, როგორც გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში არაერთხელ იყო აღნიშნული, ეს ძალები რიცხობრივად რამდენჯერმე სჭარბობენ გერმანულ ჯარებს. მაგრამ გერმანულმა სარდლობამ მაინც შეძლო, ბოლშევიკებისათვის მნიშვნელოვან პუნქტებში შეეჩერებინა მტრის წინსვლა. ყველა სიძნელეთა გადალახვისად აუცილებელია გერმანელი ხალხის მთელი ძალების დაძაბვა.

თავისთავად გასაგებია, რომ ყველა გერმანელის ყურადღება ეხლა მიპყრობილია აღმოსავლეთზე. მაგრამ, ამასთან, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვუშვათ მხედველობიდან ფრონტის სხვა მნიშვნელოვანი უბნები, უმთავრესად იტალიის ფრონტი, დასავლეთის ფრონტი, ბალკანეთი, ნორვეგია და ატლანტიკის დასავლეთი პუნქტები. გერმანიის დაცვის საქმეში ეს ფრონტები არანაკლებ როლს ასრულებენ.

შექმნილი მდგომარეობიდან სჩანს, რომ ბოლშევიკები კვლავ იგროვებენ თავიანთ ძალებს და ემზადებიან ახალი დარტყმისათვის, ე. ი. გარღვევისათვის. ის ძალები, რომელიც ბოლშევიკებმა შეიყვანეს ბრძოლაში, საკმარისი არ აღმოჩნდნენ იმისათვის, რათა მათ დაემსხვრიათ გერმანელთა წინააღმდეგობა. ბრძოლები აღმოსავლეთში გრძელდება და გაგრძელდება მომავალშიც.

ამ ბრძოლებმა ეხლა რამოდენიმე სხვანაირი ხასიათი მიიღეს. უფრო მასშტაბის მიძრავი ომი, რომელსაც მხარს უჭერდნენ მრავალრიცხოვანი ტანკები, უკვე თანდათანობით იღებს გაფორმებული ბრძოლების სახეს. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს მდინარე ოდერის ხაზზე რატიბორიდან კუსტრინამდე. სადაც გერმანელთა წინააღმდეგობა დღითიდღე ძლიერდება. აქ სწარმოებს ბრძოლა თვითეული სიდისათვის, თვითეული ნავისა და თვითეული ხიდმისასვლელი სიმაგრისათვის.

ალაგ-ალაგ უკვე თავს იჩენს გერმანული კონტრ-ზიფები. განსაკუთრებით გაფორმებული ბრძოლები სწარმოებს ბრიეგის, ფიურსტენბერგის, ფრანკფურტის და კუსტრინის. აქ და აგრეთვე ლებუსისა და ნოიზალცის მიძრავი ომი შეჩერებულია. სამხედრო კორესპონდენტების ცნობებით, ფრონტი მდინარე ოდერზე უკვე გამტკიცდა. ამას ნაწილობრივ ხელი შეუწყო მდინარე ოდერმა და გერმანელებისათვის ხელსაყრელმა ამინდმა. ყინული გადნა და განიერ მდინარეზე გადასვლა არც ისე ადვილია. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანელთა კონტრიზიფებიც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს.

მაგრამ გერმანელთა ძლიერი წინააღმდეგობა საბჭოებმა იგრძნეს არამარტო აქ, არამედ აღმოსავლეთ პრუსიაშიც, სადაც წინააღმდეგობის ძალა თანდათანობით იზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ტერიტორიაზე სილეზიური შემოჭრის შედეგად, საბჭოები, ამჟამად იმყოფებიან საფრონტო წინაზე ფრონტებიდან. საერთო სამხედრო მდგომარეობის შეფასების დროს მტრის კორესპონდენტები აცხადებენ, რომ აქ, მდინარე ოდერზე, იმყოფებიან გერმანელთა თავდაცვის ყველაზე ძლიერი ძალები და აგებულია მტკიცე სიმაგრეები. ეს აზრი, ცხადია, იქმნება გერმანელთა სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის გამო.

ο

გერმანიის შორსმსროლი იარაღების მოქმედება მტრის ტრანსპორტზე

„ნოიე ბერნერ ცაიტუნგი" სწერს: „ინგლის-ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ ანტვერპენის დაკავების შემდეგ მათ დიდი შესაძლებლობა მიეცემოდათ განეტვირთათ საფრანგეთის ნავსადგურები და ტრანსპორტისათვის გამოეყენებინათ ანტვერპენი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანული შორსმსროლი იარაღები V-1 და V-2 მოქმედებენ ანტვერპენის ნავსადგურზე, მათი იმედები გაქრნენ. ანტვერპენი, ლეჟიი და ბრიუსელი ამ მიზნისათვის ეხლა სრულიად გამოუსადეგარია.

ο

ჩერჩილის მხლებელთა დალუპვა

ბრიტანეთის ცნობათა ბიურო იტყობინება, რომ თვითმფრინავის ავარიის დროს დაიღუპა ჩერჩილის შტაბის 18 წევრი, რომლებიც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს აცილებდნენ სამთა კონფერენციაზე. დაღუპულთა შორის არიან: ბრიტანეთის ავიაციის სამინისტროს ერთი პოლკოვნიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვსი თანამშრომელი, სამხედრო სამინისტროს ოთხი ოფიცერი და ავიაციის სამინისტროს ორი თანამშრომელი.

> რედაქციისაგან დამოუკიდებელი ტექნიკური მიზეზების გამო, ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი მცირეოდენი დაგვიანებით გამოდის. შემდგომში გაზეთის გამოცემა გაგრძელდება ნორმალურად იმავე წესით, როგორც აქამდე გამოდიოდა.
>
> **რედაქცია.**

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

გერმანელთა წინააღმდეგობის გამო მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე თანდათანობით მტკიცდება. საბჭოთა ბოლშევიკური სიმაგრეები მდინარე ოდერთან, განსაკუთრებით ოდერის და შტაინაუს შორის განადგურებული ან შევიწროვებულია. ქალაქები ბრესლაუ, შნაიდემიული, მარიენბურგი, ელბინგი და კენიგსბერგი განაგრძობენ წინააღმდეგობას მტრის გაძლიერებული დივიზიების მიმართ. ქალაქ თორნის გარნიზონმა ბრძოლების თანახმად დაიხია უკან და დაიკავა მოთითებული ხაზი. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები სწარმოებდა ბრესლაუს და მდინარე ვართე-ოდერის შუა, შემდეგ ოდერის ფრანკფურტის აღმოსავლეთით და ქალ. კუსტრინთან, სამხრეთ პომერანიაში, ვისლის ქვემოდინებაზე და აღმოსავლეთ პრუსიაში. ფრონტზე მიღწეული ... კავშირი ქალ. კენიგსბერგთან.

კურლანდიაში, ლიბავასა და ფრაუენბურგთან ბოლშევიკთა ყველა შეტევა მოგერიებულია. ასევე უკუგდებულია მოწინააღმდეგის შეტევები უნგრეთში დრავას და პლატენის ტბას შუა. ქალ. ბუდაპეშტის გარნიზონი განაგრძობს გმირულ წინააღმდეგობას.

12 იანვრიდან ოდერსა და დასავლეთ ბესკიდებს შორის მტერმა დაკარგა 1.800 ტანკი.

დასავლეთის ფრონტზე მიმდინარეობს ცხარე თავდაცვითი ბრძოლები კანადელების, ინგლისელების, ამერიკელებისა და დე გოლის ჯარების წინააღმდეგ. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი მაასთან, პერტრუდენბერგთან, რურსა და მონშაუ-ფიტის უბანში, შემდეგ კოლმარის არხთან, ნოი-ბრეიზახის ჩრდილოეთით და მიულჰაუზენთან.

იანვარში დასავლეთის ფრონტზე განადგურებულია მტრის 1.197 ტანკი და წამოყვანილია 8.827 ტყვე.

„მოციმციმე ვარსკვლავები" წარმატებით იბრძვიან მოწინააღმდეგის შეტევის წინააღმდეგ.

ლონდონზე კვლავ გრძელდება გერმანელი შორსმსროლი ცეცხლი.

არდენებში ეიზენჰაუერის არმიამ დაკარგა 200.000 კაცი.

გერმანიაში მცხოვრებ ყველა ქართველ მოქალაქეს

იმი თავისი განვითარების გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჩვენი მოკავშირე დიდი ერი მთელ თავის ... ძალებს ხმარობს გადამწყვეტი შედეგის მისაღწევად. ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი ჩაბმულია შრომასა და ბრძოლის გრანდიოზულ პროცესში. ასეთ მომენტში ჩვენ, ქართველებსაც გვევალება მთელი ჩვენი ენერგიით, ცხოველი დაუძახით და მიუმართოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. ... ქართული საკავშირო შტაბი მოუწოდებს გერმანიაში მცხოვრებ ყველა ქართველ მოქალაქეს, რომელიც სამხედრო ერთეულებში არ არის გაერთიანებული და გარკვეული მუდმივი სამუშაო არა აქვს, გამოცხადდეს ქართული შტაბის შრომის განყოფილებაში (ბერლინი, მეველის მოედანი № 4, ბ. ეფრემი) სამუშაოზე მისაწვევად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაინტერესებული გერმანული ორგანიზაციები თვითონვე მიიღებენ სათანადო ზომებს.

ქართული საკავშირო შტაბი.

საველე ფოსტა № 19.000

ცენტრალური ცნობათა ბიურო

წერილები, წერილები, წერილები!

— დღედღეობით 700, 900, 1000 წერილი მოგვდის, — გვეუბნება კორესპონდენციების დამმუშავებელი განყოფილების ... ვ.

— და ყველა ისინი ნათესავების მოძებნას ეხება? — ვეკითხებით ჩვენ.

— უმეტეს შემთხვევაში. ... სხვა ... სამხედრო ნაწილებში ... მიზეზის გამო ...

— ცხადია?

— შესაძლებლობისამებრ. ... ჩვენს მოვალეობას ... ვცდილობთ ...

[illegible]

— ვიცით, რომ ყველა ცნობა შეგაქვთ სპეციალურ ბარათში ...

[illegible]

„საველე ფოსტა № 19.000".

მოხ. ნ. პ.

გერმანელი უფროსი ლეიტენანტი უღლაცაძე ქართველ მოხალისეთა გუნდის ხელმძღვანელს ჩატარებული კონცერტის წარმატებას.

ჯარიმა გმირობისათვის

ამ რამოდენიმე ხნის წინათ „ტასმა" რადიოთი გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ცნობა დონბასიდან:

„ქალაქ კონსტანტინოვკის მცხოვრებლებმა, გაიგეს რა მათ ქალაქში დახოცებული ლეიტენანტი ... მცხოვრებლების შესახებ, კომკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლით გადასწყვიტეს შეაგროვონ თანხა ძეგლისათვის აგებად..."

როგორ მოგწონთ?

არაფერი იქნება საკვირველი, თუ „ტასის" მომდევნო ინფორმაციებში ამოვიკითხავთ:

„როგორც გამოირკვა ... ჩვენ არც ის გაგვიკვირდება, რომ გვარდიის რომელიმე პოლკის წარმომადგენლები ... წერილი მიიღოს:

...ჩვენ ეს გაგვახარებს..."

მოკლე ცნობები

* **კურლანდიაში** მყოფმა გერმანულმა დივიზიებმა „საზამთრო დახმარების" ფონდში მიმდინარე წლის 30 იანვრამდე შეიტანეს 50 მილიონ მარკაზე მეტი თანხა.
* **ბერლინის ოლქის** უფროსს მოადგილედ ფიურერმა დანიშნა გერსარდ შახი.
* **მერვე ამერიკული** საჰაერო ფლოტის მთავარსარდალმა გენერალმა დოოლიტლემ განაცხადა, რომ სამი წლის განმავლობაში მისმა ნაწილმა დაჰკარგა 5.000 თვითმფრინავი (უმთავრესად ოთხმოტორიანი ბომბდამშენები) და 40.000-მდე კაცი მფრინავთა პერსონალიდან.
* **ნაზურისა და აირის** ნაკლებობის გამო ნიუ-იორკში დახურულია ყველა მაღაზია, გარდა სასურსათო წერტილებისა და აფთიაქებისა.
* **სამთა კონფერენციამ**, მიიღო რა მხედველობაში ვილსონის 1918 წლის წინადადების წარმატება, ოფიციალურად წარუდგინა გერმანიას ულტიმატუმი კაპიტულაციის შესახებ.
* **დე გოლის** მთავრობამ ვატიკანში წარმომადგენლად დანიშნა ჟაკ მარიტაინი.
* **მუსოლინიმ** მიიწვია გერმანია-იტალიის სამხედრო ეპოქის სასიმპატიო დიპლომატები.
* **იუგოსლავიის** მეფე პეტრე აიძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე.
* **ჩეხიის** ეკლესიაში მყოფმა ბენეშის მთავრობამ ოფიციალურად იცნო პოლონეთის ლუბლინის ხელისუფლება. ამის გამო ლონდონელმა ემიგრანტმა პოლონელებმა, რომლებიც არცთუისე მეგობრობენ, გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი ბენეშის მთავრობასთან.

საველე ფოსტით გასაგზავნი წერილების განაკვეთი

სატიპო ეზავნილებისა და გაზეთების საველე ფოსტით ფრონტზე გაგზავნა დროებით დაშვებულია მხოლოდ 20 გრამის რაოდენობით. ფრონტიდან კი, პირიქით, ძალაში რჩება არსებული წესი.

უფრთხილდით ყალბ სასურსათო ბარათებს!

ტერორისტული თავდასხმის დროს მტრის თვითმფრინავებმა ბერლინსა და მის რაიონში ჩამოყარეს ყალბი სასურსათო ბარათები. ყალბი ბარათები ნამდვილისაგან ადვილად გაირჩევა. მნახველები ვალდებული არიან ასეთი ბარათები დაუყოვნებლივ ჩააბარონ პოლიციის განყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისსამართლის ... და სიკვდილით იქნებიან დასჯილი.

ნარევი

საოცარი თევზები

[illegible]

პირველი აპრილი

[illegible]

მტრის ზურგში

[illegible]

მოხ. შ. ბარელი.

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

Druck: Fremdsprachendruckerei